# ცნობა

ნოდარ ჯავახიშვილი დაიბადა 1954 წლის 7 ოქტომბერს, ქ. სიღნაღში.

1977 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით ფინანსები და კრედიტი.

1977 წლიდან 1983 წლამდე მუშაობდა სახალხო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მძიმე მრეწველობის დაკრედიტების სამმართველოს უფროს ეკონომისტად, საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროს ეკონომისტად, მძიმე მრეწველობის დაკრედიტების სამმართველოს უფროსად.

1983-1985 წლებში იყო სახალხო ბანკის ქ.რუსთავის განყოფილების მმართველი.

1985-1991 წლებში - სახალხო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის საგეგმო - ეკონომიკური სამმართველოს უფროსი, ბანკების საქმიანობის კოორდინაციის სამმართველოს უფროსი, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

1991-1992 წლებში იყო თბილისის უნივერსალური ბირჟის პრეზიდენტი.

1992-1993 წლებში იყო ბინსოც ბანკის ისნის განყოფილების მმართველი.

1993-1998 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

1999-2004 წლებში არის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე.

2011-2014 წლებში იყო სს „ქართუ ბანკის" - გენერალური დირექტორი, საზედამხედველო საბჭოს თავმჯდომარე.

2014 წლის 5 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ.

2015 წლის 21 აპრილს დაინიშნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.